

ნინო ჯორბენაძე

ორთოგრაფიულად მცდარად მიჩნეული ფორმაწარმოების რამდენიმე კერძო შემთხვევის ახსნისათვის თანამედროვე ქართულში

ზოგადად, ენისა თუ ერის განვითარების გარკვეულ ეტაპებზე, კონკრეტულად და განსაკუთრებით კი – ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისა და, შესაბამისად, ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბებისთანავე დღის წესრიგში დგება სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისა თუ შემუშავების საკითხები. თუმცა ნორმისა და მართებული ფორმების გარჩევის აუცილებლობა თავს იჩენს არა მარტო ცალკეული (არასახელმწიფო) ენების, არამედ – დიალექტების, მეტიც – ცალკეული კილოკავებისა და თქმების შემთხვევებშიც კი.

როგორც „**თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების**“ პირველი კრებულის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, „...ნორმათა დადგენის პრინციპებს საფუძვლად დაედო არნ. ჩიქობავას მოხსენების დებულებები“ [თანამედროვე ნორმები 1970: VIII]. იმავე კრებულის შესავალ სტატიაში სწორედ ეს დებულებებია წარმოდგენილი, რომელთა არსიც მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცეთ:

- გადასინჯვას არ მოითხოვს ისეთი მონაცემი, რომელიც ენაში მხოლოდ ერთი სახით გვხვდება;

- საცილო ფორმების გასამიჯნად უპირატესობა უნდა მიენიჭოს ვარიანტს, რომელიც:

1. უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში, სალიტერატურო ქართულში;

2. არ ეწინააღმდეგება ქართული ენის გრამატიკულ სისტემას;

3. ფონეტიკური, წარმოების პრინციპისა თუ მნიშვნელობის მიხედვით უფრო მარტივი, ნათელი და ბუნებრივია [თანამედროვე ნორმები 1970: 7-8].

რასაკვირველია, დროთა განმავლობაში *(იქიდან გამომდინარე, რომ ნორმები ენის ერთ-ერთი ქვესისტემაა, ხოლო ენა ცოცხალი*

ორგანიზმია და როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმი, ისიც განიცდის ცვლილებას) ნორმებიც იცვლება და იქმნება საჭიროება მათი გადახედვისა. ახალი ნორმების დადგენაც, ბუნებრივია, ისევ და ისევ სწორედ ზემოხსენებული პრინციპების მიხედვით ხდება.

ამ პრინციპების მიხედვით, გავიმეორებთ – **„გადასინჯვას არ მოითხოვს ისეთი მონაცემი, რომელიც ენაში მხოლოდ ერთი სახით გვხვდება“ – ენაში – ანუ ზოგადად ყველა სოციალური ფენის, ყველა ასაკისა და მდგომარეობის პირთა მეტყველებაში.**

მაშასადამე, ის ფორმები, რომლებიც ორთოგრაფიულ ლექსიკონში დადასტურებული სახით აღარ იხმარება ენაში, უნდა ამოვიღოთ ლექსიკონიდან და შეეცვალოთ ახალი, თანამედროვე მეტყველებაში გაბატონებული ვარიანტებით, **თუნდაც წარმოშობით ისინი ენობრივად მცდარი ვარიანტები იყოს.** სწორედ ამ „მცდარობის“ მომიზეზებით სპეციალისტები ვერ ელევან ბევრ თანამედროვე ფორმას, რომლებიც სხვა სახით ენაში უკვე კარგა ხანია აღარ იხმარება. არადა (გარდა იმისა, რომ არნ. ჩიქობავას მიერ დადგენილი ზემოხსენებული პრინციპის თანახმად, ისინი მაინც უნდა შეიცვალოს), როგორც წესი, ენაში დამკვიდრებული (ერთი შეხედვით მცდარი) ფორმა ძირითადად სწორედაც რომ მართებული, სწორი ენობრივი ტენდენციის გამომხატველი მოვლენაა ხოლმე; ამ ტენდენციას აცდენილი შემთხვევები კი, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში, გარკვეულ (ძირითადად, დაბალი სოციალური თუ ინტელექტუალური განვითარების მქონე) პირთა ჯგუფებში იხმარება და საბოლოოდ ენა მას, როგორც მისთვის არაბუნებრივ, არაორგანულ ელემენტს, უკუაგდება (ამის მაგალითად შეიძლება დაგვესახელებინა აშკარად მცდარი, ქართული ენობრივი მსოფლმხედველობის დამამახინჯებელი **„მადლობა მოუხადა“** წარმოება, რომელიც, მიუხედავად გარკვეული „პოპულარობისა“, საბოლოოდ მაინც არ მკვიდრდება ენაში; როგორც არ მკვიდრდება გაუმართლებელი ფორმები – **სტეპენდია**, ან, ვთქვათ – **ბიზმესმენი** და სხვა...).

ჩვენი მოსაზრების დასადასტურებლად მოვიხმობთ მაგალითებს თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში მცდარ ფორმაწარმოებად მიჩნეული რამდენიმე კერძო შემთხვევიდან (მაშინ, როდესაც საქმე დიაქრონიულად განვითარებულ სწორ ენობრივ ცვლილებასთან გვაქვს). ამის თვალსაჩინო მაგალითებია ლექსიკონში მოცემული:

1. მოგებიანი // მომგები (ობლიგაცია) [და არა მომგებიანი]

ასევე:

წაგებიანი // წამგები [და არა წამგებიანი]

ივარაუდება, რომ „**მომგებიანი**“ / „**წამგებიანი**“ ფორმებში „მ“ ზედმეტია, ვინაიდან, ის, როგორც სასუბიექტო მიმღებობის აღმნიშვნელი პრეფიქსი, არასწორადაა გამოყენებული. არადა ეს მცდარად მიჩნეული ფორმები მხოლოდ ამ სახით იხმარება თანამედროვე ქართულში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დროს „მცდარად“ მიჩნეულ ფორმას ყოველთვის ეძებნება გამართლება. ასეა ამ შემთხვევაშიც: რეალურად აქ საქმე უფუნქციო, ფონეტიკურად განვითარებულ „მ“-სთან გვაქვს, რომელიც ბევრ სხვა ფორმაშიც შემდგომ განვითარდა დიაქრონიულად და ეს უკანასკნელები კი უკვე სწორ ვარიანტებადაა მიჩნეული (**მ-ტრედი**, **მ-ჭადი** და სხვა...); აღნიშნული ტენდენცია კი ქართულისათვის ბუნებრივი და დამახასიათებელია; ის ქართული არტიკულაციის სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

2. არსებითად იგივე ვითარება გვაქვს შემდეგ შემთხვევებშიც: [მომღიმარე, მომღიმარი კი არა] **მოღიმარი**

რეალურად აქაც „მ“ ბგერა ფონეტიკურადაა განვითარებული და – რაც მთავარია – დამკვიდრებული ზემოაღნიშნულ ფორმებში.

3. ორთოგრაფიულ ლექსიკონში ასევე არასწორი წარმოების ნიმუშებადაა მიჩნეული **ტიბიური**, **ფაქტიური** ფორმები. სუფიქსად **-ურ** არის ნავარაუდები, აქედან გამომდინარე, **-ი** ხმოვანი ამ სახელებში ზედმეტად მიიჩნევა. თანამედროვე სასაუბრო ქართულში კი, როგორც წესი, სწორედ ეს მცდარად მიჩნეული **ტიბიური**, **ფაქტიური** ფორმები იხმარება უგამონაკლისოდ (მხედველობაში არ მიიღება ის ძალდატანებითი წარმოთქმა, როდესაც პირი ცდილობს „სწორი“ ფორმა გამოიყენოს, რათა მას ქართული ენის ნორმების არცოდნა არ დაბრალდეს). რატომ? – იმიტომ, რომ რეალურად აქ **-იურ** სუფიქსი გვაქვს (შდრ.: **ციური**, **მზიური** წარმოება). ეს **-იურ**, სავარაუდოდ, **-ივ-ურ** მაწარმოებლიდან მოდის. აქედან გამომდინარე, **ტიბიური**, **ფაქტიური** – რეალურად სწორი ფორმებია; ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ „**ტიბური**“, სავარაუდოდ „**ფაქტური**“ არტიკულაციურად მიუღებელი ფორმებია ქართულისათვის...

4. ამოსავალ ფუძედ მცდარ **„აბსოლიტ“** ძირს ვარაუდობენ **„აბსოლიტურ“** ფორმაში, მაშინ, როდესაც რეალურად აქ შემდეგ მოხდა დისიმილაციური ცვლა ხმოვნისა (**აბსოლუტური > აბსოლიტური**). ასეთი დისიმილაციური ცვლილებები კი ქართულში სხვა შემთხვევებში დიაქრონიულად სწორ პროცესადაა შეფასებული...

5. არსებითად ამავე რიგის მოვლენასთან გვაქვს საქმე (ოღონდ ეს წარმოება ჯერჯერობით მაინც უფრო წმინდა დიალექტური სახისაა), როდესაც წოდებით (და ასევე სხვა) ბრუნვაში ამჟამად თანხმოდან ფუძიანი საკუთარი სახელები **-ი** ნიშნით გამოიყენება (იგულისხმება **ოთარი! ლევანი! ეთერი! / ოთარიმ, ლევანიმ, ეთერიმ** ტიპის შემთხვევები). აღნიშნული ტენდენცია ლამის სრული უფიცობისა და უინტელექტობის შემთხვევად შერაცხონ მაშინ, როდესაც რეალურად საქმე სწორ, მიზნობრივ, სისტემატიზაციისაკენ მიმართულ ენობრივ პოლიტიკასთან გვაქვს – ენა ცდილობს ფორმოზრევად დაეყოს **საზოგადო და საკუთარი (კონკრეტულად ადამიანთა) სახელები** – ამ ტენდენციის მიხედვით პირველები არ ბოლოვდებიან **-ი-ზე**, ხოლო მეორენი ძირითადად მხოლოდ ხმოვანფუძიანები არიან (შდრ.: წმინდა ქართული წარმოების **მზია, ია, ვეფხია, ან დათო, ნინო, გიო, გელა, გოგა** და სხვა სახელები): აქედან გამომდინარე თანხმოდან ფუძიან პირთა საკუთარი სახელების ხმოვანფუძიანებად მოქცევის ტენდენცია... და აქედანვე გამომდინარეობს საპირისპირო ტენდენციაც – ბოლო დროს შემოსულ, უცხო ენათა გავლენით დამკვიდრებულ, **-ი ხმოვანზე დაბოლოებულ საზოგადო სახელებს** ეს **-ი** მოეკვეცოთ (ამის შედეგად გვაქვს **ტაქსმა, ტაქსში და არა – ტაქსიმ, ტაქსიში** და სხვა)...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ის **ფორმა, წარმოება, შესიტყვება თუ კონსტრუქცია, რომელიც ენაში ერთხმად და ერთადერთი ვარიანტით მკვიდრდება და მყარად იკიდებს ფეხს – როგორც წესი, საბოლოოდ, ენობრივი განვითარების მიზანმიმართული, სწორი და სისტემატიზაციისაკენ მიდრეკილი ტენდენციის გამოხატველ შემთხვევად კვალიფიცირდება ხოლმე.**

ლიტერატურა

ჯორბენაძე 1989 – ზ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბილისი.

სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი 1941 – ვ. თოფურია. ივ. გიგინეიშვილი, სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

თანამედროვე ნორმები 1970 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ესცი 2002 – ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, თბილისი.

ჟოსლი 2009, 2010 – ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, I, II, თბილისი.

პარონიმთა ლექსიკონი 2011 – ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი 2011 – სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

მოსწავლის ლექსიკონი 2012 – მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, თბილისი.

Nino Jorbenadze

On Some Certain Cases of the Word Formation Considered to Be Orthographically Incorrect in Modern Georgian

Summary

In the orthographic dictionary of the modern Georgian language some certain cases are considered as the incorrect word formation when it

comes to the diachronically developed correct linguistic change. The obvious examples for this are as follows:

1. **mogebiani** // **momgebiani** (profitable) [not **momgebiani**]

or

çagebiani // **çamgebiani** (unprofitable) [not **çamgebiani**]

It is assumed that in the word forms **momgebiani** / **çamgebiani** the prefix **ð** of the subjective participle is used incorrectly. In fact, it is a dysfunctional, phonetically developed **ð** that was developed diachronically in other forms too and nowadays these variants are considered to be correct e. g. **m-țredi** (*a dove*), **m-çadi** (*maize-bread*) etc.

1. The situation is the same as above in the following cases:

[not **momyimare**, **momyimari**] **moyimari** (*smiley*)

2. In the orthographic dictionary the following forms are also considered to be the incorrect word formation – **țipiuri**, **pațturi**. It is assumed that the suffix is **-ur** and therefore the vowel **-i** is thought to be unnecessary. In fact, the suffix is **-iur** (cf.: **ciuri** (*heavenly*), **mziuri** (*sunny*)). Thus the forms **țipiuri** and **pațturi** are actually the correct ones;

3. It is thought that the form **absolițur** was derived from the wrong base **absoliț**. In fact, we have the dissimilative change of the consonant – **absoluțuri** > **absolițuri**. In other cases such dissimilative changes are evaluated as a diachronically correct process.